

## შეთანხმება

### საქართველოს მთავრობასა და იგალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის მგზავრთა და გვირთის საერთაშორისო გრანსპორტირების ერთობლივად მოწესრიგების შესახებ

საქართველოს მთავრობა და იგალიის რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში მონაწილე მხარეებად წოდებული, იმისათვის, რომ საერთო ინტერესებიდან გამომდინარე გააადვილონ და მოაწესრიგონ მგზავრთა და გვირთის ავტოტრანსპორტირება ამ ორ ქვეყანას შორის და გრანზიტით მათი ტერიტორიების გავლით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

#### მუხლი 1

ორივე მონაწილე მხარის გადამზიდავებს აქვთ უფლება ამ შეთანხმების ქვემოთ აღწერილი პირობების საფუძველზე განახორციელონ მგზავრთა და გვირთის გრანსპორტირება ერთმანეთის ტერიტორიებს შორის და გრანზიტით მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიის გავლით ავტოსატრანსპორტო საშუალებით, რომელიც რეგისტრირებულია იმ მონაწილე ქვეყანაში, სადაც გადამზიდავს აქვს რეგისტრირებული ოფისი.

#### I-მგზავრთა გადაყვანა

##### 1.1. საქმიანობის სფერო

#### მუხლი 2

ეს შეთანხმება გამოიყენება მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანისათვის ორ მონაწილე ქვეყანას შორის და აგრეთვე გრანზიტით მონაწილე მხარეთა ტერიტორიებზე მგზავრთა შესვლისა და დარჩენის შესახებ არსებული დებულებების შესაბამისად იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც განკუთვნილია ცხრაზე მეტი მგზავრის გადაყვანისათვის, მძღოლის ჩათვლით (ავტობუსი).

##### 1.2. რეგულარული მომსახურეობა ორ მონაწილე ქვეყანას შორის

#### მუხლი 3

1. ამ შეთანხმების მიზნებისათვის, წინასწარ გამოცხადებული მარშრუტით, განრიგით და გარიფებით განხორციელებული მგზავრთა გადაყვანა ჩაითვლება რეგულარულ მომსახურეობად.
2. ასეთი მომსახურეობის დროს ნებადართულია მგზავრთა აყვანა და გადმოსხმა ბოლო სადგურებზე და სხვა დათქმულ ადგილებზე.
3. ასეთი მომსახურეობის შესრულების მიზნით გამგზავრებისა და შეჩერების ადგილებში ავტოსატრანსპორტო საშუალებაში ცარიელი ადგილების არსებობის შემთხვევაში მგზავრების აყვანა შეიძლება ამ შეთანხმების დებულებების და ეროვნული კანონების შესაბამისად.

## მუხლი 4

ორ მონაწილე ქვეყანას შორის რეგულარული მომსახურეობა ღვინდება მონაწილე მხარეების კომპეტენტური ორგანოების (მუხლი 27) შეთანხმებით და ერთობლივი კომისიის (მუხლი 28) მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე.

## მუხლი 5

1. რეგულარული ავგოსაგრანსპორტო მომსახურეობა ხორციელდება სპეციალური ნებართვის საფუძველზე, რომლის სხვისთვის გადაცემა არ შეიძლება.

2. ნებართვა გაიცემა მონაწილე მხარეთა შესაბამისი ორგანოების მიერ მარშრუტის მათ ეროვნულ ტერიტორიაზე გამავალი ნაწილისათვის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, თუ ეს ორგანოები არ მიიღებენ განსხვავებულ გადაწყვეტილებას.

3. ნებართვის ვადას განსაზღვრავს ერთობლივი კომისია.

4. რეგულარული მომსახურებისათვის ნებართვა გაიცემა, კომპანიის მიერ იმ მონაწილე მხარის შესაბამისი ორგანოსათვის წარდგენილი განცხადების საფუძველზე, სადაც კომპანიის ოფისია რეგისტრირებული.

5. განცხადება უნდა შეიცავდეს მარშრუტს, განრიგს მთელი წლისათვის და ტარიფებს, რომლებიც ერთობლივი კომისიის მიერ იქნება დადგენილი და ყველა სხვა მონაცემს, რომლებიც მონაწილე მხარეთა შესაბამისმა ორგანოებმა შეიძლება მოითხოვონ. განცხადება უნდა შეიცავდეს შეთავაზებულ მარშრუტის პლანიმეტრიას გაჩერებებისა და კილომეტრაჟის აღნიშვნით.

6. ერთი მონაწილე მხარის შესაბამისი ორგანო მეორე მხარეს გაუგზავნის წინასწარ შეთანხმებულ განცხადებებს და საჭირო დოკუმენტაციას.

7. განცხადებები უნდა დაამტკიცონ მონაწილე მხარეთა შესაბამისმა ორგანოებმა ერთობლივი კომისიის მიერ მიღებული პირობების საფუძველზე.

8. მგზავრთა გადაყვანის დროს ნებართვის ორიგინალი ან დამოწმებული ასლი უნდა ინახებოდეს რეგულარული მომსახურებისათვის განკუთვნილ ავგოსაგრანსპორტო საშუალებაში.

## მუხლი 6

კომპანიებს, შესაბამისი ორგანოების ურთიერთშეთანხმების გარეშე არ შეუძლიათ განახორციელონ მგზავრთა შიდა მომსახურეობა მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე.

### 1.3. რეგულარული საგრანსპორტო მომსახურეობა

## მუხლი 7

1. ამ შეთანხმებისათვის, ერთი მონაწილე მხარის ტერიტორიიდან მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიის გავლით მესამე ქვეყანაში მგზავრების გადაყვანას მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე მგზავრების ჩასმა-გადმოსმის გარეშე ეწოდება რეგულარული საგრანზიგო მომსახურეობა.

2. რეგულარული საგრანზიგო მომსახურეობა ხორციელდება საგრანზიგო ქვეყნის იმ შესაბამისი ხელისუფალის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რომელსაც კომპანიამ მიმართა განცხადებით იმ ხელისუფალის მეშვეობით, რომელსაც ეს საკითხი ეხება.

## 1.4. არარეგულარული მომსახურება

### მუხლი 8

ამ შეთანხმების მიზნებისათვის, მგზავრთა გადაყვანა ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე გზით, განიხილება როგორც მგზავრთა არარეგულარული მომსახურება.

1. მგზავრთა ერთი და იგივე შემადგენლობის ერთი და იგივე ავგოსაგრანსპორტო საშუალებით გადაყვანა მთელი მარშრუტის მანძილზე, რომელიც უნდა დაიწყოს და დამთავრდეს იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც რეგისტრირებულია ავგოსაგრანსპორტო საშუალება.

2. მგზავრთა ერთი და იგივე შემადგენლობის ერთი და იგივე ავგოსაგრანსპორტო საშუალებით გადაყვანა მარშრუტით, რომელიც იწყება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული პორტიდან ან აეროპორტიდან სადაც რეგისტრირებულია ავგოსაგრანსპორტო საშუალება და მთავრდება სხვა ქვეყნის პორტში ან აეროპორტში, ხოლო საგრანსპორტო საშუალება ბრუნდება:

ა) მგზავრების გარეშე;

ბ) მგზავრებით, რომლებიც ჩამოვიდნენ გემით ან თვითმფრინავით პორტში ან აეროპორტში, სადაც მგზავრთა პირველი ნაკადი იქნა დატოვებული გასვლითი მგზავრობისას, და რომლებმაც უნდა გააგრძელონ მგზავრობა გემით ან თვითმფრინავით იმ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული სხვა პორტიდან ან აეროპორტიდან, სადაც რეგისტრირებულია ავგოსაგრანსპორტო საშუალება.

გ) მგზავრებით, რომლებიც ჩამოვიდნენ გემით ან თვითმფრინავით იმავე ქვეყნის პორტში ან აეროპორტში, სადაც განლაგებულია ის პორტი ან აეროპორტი, რომელშიც გასვლითი მგზავრობისას იქნა დატოვებული მგზავრთა პირველი ნაკადი, და რომლებმაც მგზავრობა უნდა გააგრძელონ გემით ან თვითმფრინავით იმ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული სხვა პორტიდან ან აეროპორტიდან, სადაც რეგისტრირებულია ავგოსაგრანსპორტო საშუალება.

3. მომსახურება, რომლის დროსაც ავგოსაგრანსპორტო საშუალება მიდის ცარიელი მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე, რათა გადაზიდვასა და მომხმარებელს შორის წინასწარი შეთანხმებული მგზავრთა ჯგუფი გადაიყვანოს ქვეყანაში, სადაც ეს ავგოსაგრანსპორტო საშუალებაა რეგისტრირებული.

### მუხლი 9

მომსახურება, რომელიც აღნიშნულია ამ შეთანხმების მე-10 მუხლის 1) და 2) პუნქტებში, გრანზიგის შემთხვევაშიც კი ხორციელდება ყოველგვარი ნებართვის გარეშე.

2. ასეთ შემთხვევაში ავგობუსის მძღოლს უნდა ჰქონდეს მგზავრთა სია.

3. ერთობლივი კომისიის მიერ დადგენილი პირობების თანახმად, დაზიანებული ავგობუსის შემცველ ავგობუსს არ სჭირდება ნებართვა.

4. ამ შეთანხმების მე-10 მუხლის მე-3 პარაგრაფში განხილული შემთხვევისათვის კომპანიის რეგისტრაციის ქვეყნის შესაბამისი ორგანო ამ კომპანიის მიერ მომსახურების განხორციელებისათვის ნებართვას სთხოვს მეორე მონაწილე მხარეს.

## 1.5. ავგობუსებით განხორციელებული სხვა სახის მომსახურებები

### მუხლი 10

1. ამ შეთანხმების წინა მუხლებში განხილული მომსახურებების გარდა ყველა სხვა სახის მომსახურებას სჭირდება მეორე მონაწილე მხარის შესაბამისი ორგანოს მიერ წინასწარ გაცემული ნებართვა.

2. კომპანიისათვის ნებართვა გაიცემა მონაწილე მხარის შესაბამისი ორგანოსათვის გაგზავნილი განცხადების საფუძველზე.

3. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს მგზავრობის მიზანი, მარშრუტი, დანიშნულების ადგილი, ავგოსაგრანსპორტო საშუალება და ყველა სხვა მონაცემი, რომელსაც მოითხოვს მონაწილე მხარეთა შესაბამისი ორგანოები.

4. მონაწილე მხარის შესაბამისი ორგანო მიღებულ განცხადებებს გადასცემს მეორე მონაწილე მხარის შესაბამის ორგანოს ყველა საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად.

5. მეორე მონაწილე მხარის შესაბამისი ორგანო განცხადების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში აცნობებს განმცხადებელს თავის გადაწყვეტილების შესახებ.

6. მეორე მონაწილე მხარის შესაბამისი ორგანოებისაგან დადებითი პასუხის მიღების შემდეგ იმ ქვეყნის ორგანო, სადაც განმცხადებელ კომპანიას აქვს რეგისტრირებული ოფისი, გასცემს ნებართვას.

## **გვირთის გადაზიდვა**

### **2.1. გადაზიდვა ორ ქვეყანას შორის და ტრანზიტით**

#### **მუხლი 11**

1. ორ ქვეყანას შორის გვირთის გადაზიდვისათვის კომპანიას, რომელსაც ერთი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე აქვს რეგისტრირებული ოფისი, ნებართვას მისცემს მეორე მონაწილე მხარის შესაბამისი ორგანო მე-14 და მე-15 მუხლების თანახმად, თუ ერთობლივი კომისია არ დაადგენს ორ ქვეყანას შორის გადაზიდვის უნებართვოდ განხორციელების შესაძლებლობას.

2. გვირთის გადაზიდვისას მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლის, მოძრაობის და დროებითი დარჩენის პერიოდში ავგოსაგრანსპორტო საშუალება და ასევე მძღოლი უნდა დაემორჩილოს განსაკუთრებულ პირობებს, კონტროლს და სახელმწიფო უსაფრთხოების მოთხოვნებს, თანაბრობის საფუძველზე.

#### **მუხლი 12**

1. ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთების ორი მონაწილე ქვეყნის ტერიტორიებზე შეტანა-გამოტანისათვის არსებული წესების თანახმად, ამ ნივთების ტრანსპორტირება არ საჭიროებს წინა მუხლებში აღნიშნულ ნებართვას:

1) მიცვალებულის გადაყვანა;

2) საგამოფენო ნივთების ტრანსპორტირება;

3) მომსახურების შეფერხების შემთხვევაში აეროპორტიდან ან აეროპორტში გვირთის არარეგულარული ტრანსპორტირება;

4) ნებისმიერი სახის ავგოსაგრანსპორტო საშუალებით აეროპორტიდან ან აეროპორტში მგზავრობისა და გვირთების ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილ ავგოსაგრანსპორტო საშუალებამდე ბარგის გადაზიდვა მისაბმელების მეშვეობით.

5) ფოსტის გადაზიდვა;

6) ნივთების ტრანსპორტირება პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის, განსაკუთრებით სტიქიური უბედურების შემთხვევაში.

7) ძვირფასი გვირთის (მაგალითად, ძვირფასი ლითონების) გადაზიდვა სპეციალური ავგოსაგრანსპორტო საშუალებებით პოლიციის ან სხვა მცველების თანხლებით.

8) საზღვაოსნო და საავიაციო სათადარიგო ნაწილების ტრანსპორტირება;

9) ცარიელი ავგოსაგრანსპორტო საშუალებების გაგზავნა მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე მყოფი დაზიანებული ავგოსაგრანსპორტო საშუალების შესაცვლელად და ასევე დაზიანებული და შემდეგ გარემონტებული ავგოსაგრანსპორტო საშუალების დაბრუნება. ავგოსაგრანსპორტო საშუალება, რომელიც შეცვლის დაზიანებულ ავგოსაგრანსპორტო საშუალებას, მარშრუტს გააგრძელებს ამ უკანასკნელისათვის გაცემული ნებართვით.

10) ფუტკრებისა და ლიფსიგების გრანსპორტირება.

2. ერთობლივ კომისიას შეუძლია შეცვალოს ნებართვისაგან თავისუფალი გრანსპორტის ზემოაღნიშნული სია.

3. ამ მუხლში განხილული გრანსპორტირების დროს გათვალისწინებულ იქნება სპეციალური ადგილობრივი წესებით დადგენილი მოთხოვნები.

### **მუხლი 13**

1. ნებართვა, რომელიც გაიცემა გასვლითი და უკან დასაბრუნებელი მგზავრობისათვის არ შეიძლება გადაეცეს სხვას. იგი უფლებას აძლევს კომპანიას, რომ განახორციელოს გრანსპორტირება ავგოსაგრანსპორტო საშუალებით ან ავგოსაგრანსპორტო საშუალებათა ჯგუფით (უმისაბმელო საგვითო მანქანა, ავტო-მაგარებელი, ნახევრად მისაბმელი) ნებართვაში აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, რომელიც არ უნდა აღარაბეჭდეს ერთ წელს.

2. გრანსპორტი, რომელიც გაივლის მონაწილე მხარეების ტერიტორიას, არ საჭიროებს ნებართვას, თუ მხარეები არ მიიღებენ სხვა გადაწყვეტილებას.

3. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის, ერთ-ერთი მონაწილე მხარის ტერიტორიის გავლით გვირთის მესამე ქვეყანაში გადაზიდვა გადაკვეთილი ქვეყნის ტერიტორიაზე დატვირთვა-გადმოტვირთვის გარეშე ჩაითვლება საგრანზიტო გადაზიდვად.

### **მუხლი 14**

1. აკრძალულია მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე იმ გვირთის დატვირთვა, რომელიც გადმოტვირთული უნდა იყოს იმავე ქვეყნის ტერიტორიაზე.

2. ასევე აკრძალულია ერთი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე მცხოვრებმა გადაზიდვამა განახორციელოს გვირთის გადაზიდვა მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიასა და მესამე ქვეყანას შორის, თუ მას არ აქვს მეორე მხარის მიერ გაცემული სპეციალური ნებართვა.

## **III ზოგადი დებულებანი**

### **მუხლი 15**

1. კომპანიების ტექნიკური და პროფესიული შესაძლებლობების მოთხოვნები, ავგოსაგრანსპორტო საშუალებათა გამართულობა, ავგოსაგრანსპორტო საშუალებათა მოძრაობისათვის საჭირო დოკუმენტის შინაარსი, მძღოლთა პროფესიული დონე და მესამე მხარეებისა და გადასაყვან მგზავრთა მიმართ სამოგადობრივი პასუხისმგებლობის დონე უნდა დაადგინონ ორივე მონაწილე ქვეყნის შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა დადგენილებების საფუძველზე.

2. დაზღვევის პოლისის პირობები უნდა შეესაბამებოდეს იმ ქვეყნის კანონებს, სადაც ხორციელდება გრანსპორტირება.

## მუხლი 16

ბილეთების გაცემის პირობები, მგზავრთა და ტვირთის გრანსპორტირებისათვის აუცილებელი დოკუმენტების შევსება სარეგისტრაციო ქურნალებში გასაგარებლად და სტატისტიკური მონაცემები, რომელიც გაიცვლება შესაბამის ორგანოს შორის, ერთობლივად უნდა იქნეს დადგენილი მონაწილე მხარეთა შესაბამისი ორგანოების მიერ.

## მუხლი 17

1. გადამზიდავები და ამ მუხლით გათვალისწინებული გრანსპორტირებისათვის განკუთვნილ საგრანსპორტო საშუალებაზე მომუშავე პერსონალი მონაწილე მხარის ტერიტორიაზე მათი საგრანსპორტო საშუალების ყოფნის დროს უნდა დაემორჩილონ ამ ტერიტორიაზე მოქმედ საგზაო მოძრაობისა და გრანსპორტირების წესებს.

2. წინა პარაგრაფებში განხილული წესების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი პასუხს აგებს იმ მონაწილე მხარის შესაბამისი ორგანოების წინაშე, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა დარღვევა.

## მუხლი 18

1. მონაწილე მხარეების გადამზიდავები ვალდებული არიან გაითვალისწინონ იმ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე მოქმედი ვალუტა და საგადასახადო წესები, რომლის ტერიტორიაზეც ხორციელდება გადაზიდვა.

2. ერთობლივ კომისიას შეუძლია დაადგინოს საგადასახადო შეღავათები, რომლებიც ორივე ქვეყნის კანონმდებლობითაა დაშვებული.

## მუხლი 19

1. თითოეული მონაწილე მხარე უფლებას აძლევს მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ავტოსაგრანსპორტო საშუალებას დროებით შევიდეს მის ტერიტორიაზე საბაჟო გადასახადების და შეზღუდვების გარეშე იმ პირობით, თუ ისინი რეექსპორტირებული იქნებიან.

2. მონაწილე მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ ამ ავტოსაგრანსპორტო საშუალებებზე მათ ტერიტორიაზე დროებითი იმპორტირებისათვის აუცილებელი საბაჟო ფორმულების შესრულება.

## მუხლი 20

1. მძღოლს და ეკიპაჟის სხვა წევრებს საბაჟო და საზღვრის გადაკვეთის სხვა გადასახადების გადახდის გარეშე შეუძლიათ თან იქონიონ ნივთების განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც მათ სჭირდებათ მგზავრობისა და მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე ყოფნის დროს იმ პირობით, რომ ისინი ამ ნივთებს არაფის გადასცემენ.

2. საკვები პროდუქტები, მცირე რაოდენობის თამბაქო, სიგარები და სიგარეტები პირადი მოხმარებისათვის თავისუფლდება საბაჟო და საზღვრის გადაკვეთისას სხვა გადასახადებისაგან მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი საბაჟო დებულების შესაბამისად.

3. ბემოალნიშნული შეღავათები დადგენილია საბაჟო ორგანოების მიერ და ისინი ეხება მგზავრთა პირადი მოხმარების იმპორტირებული ნივთების დროებით განთავისუფლებას გადასახადებისაგან.

## მუხლი 21

დროებით იმპორტირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩვეულებრივ ავზში მოთავსებული საწვავი თავისუფლდება საბაჟო და საზღვრის გადაკვეთისას სხვა გადასახადებისაგან აკრძალვებისა და შეზღუდვების გარეშე იმ პირობით, რომ ეს ავზი მწარმოებლის მიერ გათვალისწინებულია სწორედ ამ სახის სატრანსპორტო საშუალებისათვის.

## მუხლი 22

1. სათადარიგო ნაწილები, განკუთვნილი დროებით იმპორტირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის, რომელიც ასრულებს ტრანსპორტირებას ამ შეთანხმების საფუძველზე, ორივე მონაწილე მხარის კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაჟო დებულების შესაბამისად აკრძალვისა და შეზღუდვების გარეშე დროებით თავისუფლდებიან საბაჟო და საზღვრის გადაკვეთის გადასახადისაგან.

2. გამოცვლილ ნაწილებზე, რომლებიც არ რეექსპორტირებულა, იმპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, დაწესდება საბაჟო და საზღვრის გადაკვეთის სხვა გადასახადები, თუ ეს ნაწილები არ გადაეცემა ამ ქვეყანას ან არ ქნა განადგურებული მისი მფლობელის მიერ საბაჟოს ზედამხედველობის ქვეშ.

## მუხლი 23

1. ბედნადები და სატრანსპორტო მომსახურებისათვის ანგარიშსწორება ამ შეთანხმების მიხედვით იწარმოებს კონვერტირებადი ვალუტით გადახდის დღეს არსებული სავალუტო კურსით.

2. შესაბამისი გადარიცხვები უნდა მოხდეს ყველა სავალდებულო გადასახადის გადახდის შემდეგ ყოველგვარი შეზღუდვისა და შეფერხების გარეშე.

3. თუ მხარეები შეთანხმდებიან ანგარიშსწორების შესახებ, მაშინ ეს ანგარიშსწორება უნდა მოხდეს წინამდებარე ხელშეკრულების დებულების თანახმად.

## მუხლი 24

იმ ქვეყანაში დადგენილი ჯარიმების მიხედვით, სადაც მოხდება დარღვევა, თუ ამ შეთანხმების დებულების დარღვევა მოხდება მეორე მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე, მაშინ ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ქვეყნის შესაბამისი ორგანოები მეორე მონაწილე ქვეყნის შესაბამისი ორგანოებისაგან შეტყობინების მიღების შემდეგ დაადგენენ ჯარიმის შემდეგ სახეობას:

- 1) გაფრთხილება;
- 2) შეტყობინება გაფრთხილებით, რომ დარღვევის განმეორების შემთხვევაში 3) და 4) პუნქტებში განხილული ზომები იქნება მიღებული;
- 3) მგზავრთა და გვირთის ტრანსპორტირების უფლების დროებითი შეჩერება იმ ქვეყანაში, სადაც მოხდა დარღვევა;
- 4) მგზავრთა და გვირთის ტრანსპორტირების ნებართვის გაუქმება იმ ქვეყანაში, სადაც მოხდა დარღვევა.

## მუხლი 25

1. ამ შეთანხმებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი გადაწყდება ერთობლივად მონაწილე მხარეთა შესაბამისი ორგანოების მიერ.

2. ამ შეთანხმების მიხედვით შესაბამისი ორგანოებია:

საქართველოს მხრიდან – საქართველოს გრანსპორტის სამინისტრო;

იტალიის რესპუბლიკის მხრიდან – იტალიის რესპუბლიკის გრანსპორტისა და ნავიგაციის სამინისტრო.

## მუხლი 26

1. მონაწილე მხარეთა შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლებისაგან შემდგარი ერთობლივი კომისია იკრიბება შემდეგი მიზნებისათვის.

1) რათა გამოხატულ იქნას მოსაზრებები მგზავრთა რეგულარული საგრანსპორტო მომსახურების შესახებ, ორივე მონაწილე მხარისათვის მისაღები და ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტის გზების მოსაძებნად.

2) რათა ერთობლივად გადაწყვიტონ მე-8, მე-9 და მე-13 მუხლებში განხილული მგზავრთა და გვირთის გრანსპორტირებისათვის საჭირო ნებართვების რაოდენობა ან ორმხრივი გადაზიდვის უნებართვოდ განხორციელება,

3) რათა მოაწესრიგონ და გადაწყვიტონ მე-5, მე-9, მე-11 და მე-13 მუხლებში განხილული ნებართვების ფორმა და მათი გაცემის გზები და საშუალებები,

4) რათა მოაგვარონ პრობლემები და საკითხები, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ამ შეთანხმების შესრულების პროცესში,

5) რათა მიიღონ ზომები ორ ქვეყანას შორის გრანსპორტირების ხელშეწყობის დაჩქარებისათვის,

6) რათა განიხილონ გადასახადთა შემსუბუქების შესაძლებლობა, რომელიც დაშვებულია ორივე მონაწილე ქვეყნებში მოქმედი კანონებით.

2. მონაწილე მხარეების შესაბამისი ორგანოები დანიშნავენ წარმომადგენლებს შერეულ კომისიაში, როლებიც შეიკრიბებიან რომელიმე მონაწილე მხარის მოთხოვნით.

## მუხლი 27

მონაწილე მხარეთა ეროვნულ კანონმდებლობას უნდა დაექვემდებაროს ყველა ის საკითხი, რომელსაც არ ითვალისწინებს ეს შეთანხმება ან საერთაშორისო კონვენცია, რომლის წევრებიც არიან მონაწილე მხარეები.

## მუხლი 28

1. ამ შეთანხმების მიხედვით მგზავრებისა და გვირთის გადაზიდვისათვის განკუთვნილი ავტოსაგრანსპორტო საშუალებები და მძღოლები უნდა დაემორჩილონ საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ დადგენილებებს, რომლებიც მოქმედებენ იმ მონაწილე ქვეყანაში, სადაც ხდება გრანსპორტირება. ეს განსაკუთრებულად ეხება ეროვნულ კანონებს და წესებს, რომლებიც არეგულირებენ შესაბამის გერიტორიაზე ავტოსაგრანსპორტო საშუალების შესვლასა და დროებით დარჩენას.

2. როგორც წესი, მონაწილე მხარეები იტოვებენ უფლებას, გამონაკლის შემთხვევაში, როცა ამას მოითხოვს სახელმწიფო უსაფრთხოება, აგრეთვე გვირთის გადაზიდვის წესები, მისცენ ერთმანეთს მოქმედების თავისუფლება.



## დასკვნითი დებულებები

### მუხლი 29

1. ეს შეთანხმება ძალაში შევა მას შემდეგ, როცა მონაწილე მხარეები დიპლომატიური არხებით წერილობით შეაგყობინებენ ერთმანეთს ამ შეთანხმების ძალაში შესასვლელად აუცილებელი შიდა პროცედურების შესრულების შესახებ. ეს შეთანხმება ძალაში შევა უკანასკნელი წერილობითი შეგყობინების მიღებიდან შემდეგი თვის პირველ დღეს.

2. ეს შეთანხმება ძალაშია ერთი წლის მანძილზე მისი ძალაში შესვლის დღიდან და მისი მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება ყოველ წელს თუ რომელიმე მონაწილე მხარე მისი ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე წერილობით დიპლომატიური არხებით არ შეაგყობინებს მეორე მონაწილე მხარეს მოთხოვნას მისი შეწყვეტის შესახებ.

ამის დასგურად, შესაბამისი მთავრობების უფლებამოსილებით აღჭურვილმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას.

შესრულებულია ქ. რომში 1997 წლის 15 მაისი, ორ პირად, თითოეული ქართულ, იგალიურ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს  
მთავრობის სახელით

იგალიის რესპუბლიკის  
მთავრობის სახელით